24/07/2026

MES 8 26 0000972520

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმი

ქ. თბილისი

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:

1. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:

ეკატერინე წიფურია - სსიპ - გალაკტიონ ტაბიძის სახელობის ქალაქ თბილისის №51 საჯარო სკოლის დირექტორი, საბჭოს თავმჯდომარე;
თამარ მამსიკაშვილი - აზიის განვითარების ბანკის პროგრამის,, თანამედროვე უნარები უკეთესი დასაქმების სექტორის განვითარებისთვის“ სკოლების გაძლიერების სპეციალისტი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
ნინო ბერიკაშვილი - სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, ,,არაქართულენოვანი სკოლების მხარდაჭერის“ ქვეპროგრამის მენეჯერი, საბჭოს მდივანი;
პეტრე ბაბილუა - შპს - „ევროპული სკოლის“ მათემატიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, საბჭოს წევრი;
დავით მალაზონია- შპს - „თანამედროვე განათლების აკადემია - სკოლა და ბაღის“დირექტორი, საბჭოს წევრი;
მანანა თურქაძე - შპს ,,ინტერნაციონალური მაარიფის სკოლები საქართველოში“ დირექტორთა საბჭოს წევრი და მთავარი მრჩეველი განათლების საკითხებში, საბჭოს წევრი;
ნონა ჩუბინიძე - სსიპ - ქალაქ ქუთაისის №14 საჯარო სკოლის დირექტორი; საბჭოს წევრი
დავით კახნიაშვილი - შპს - „თბილისის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა-ლიცეუმ მწიგნობართუხუცესის“ დირექტორი, ა(ა)იპ - „არასამთავრობო (კერძო) სასწავლებლების ასოციაციის“ თავმჯდომარე, საბჭოს წევრი;
ეკატერინე გურგენაშვილი - სსიპ - მერაბ კოსტავას სახელობის ქალაქ თელავის №4 საჯარო სკოლის მასწავლებელი, 2024 წლის მასწავლებლის ეროვნული პრემიის გამარჯვებული, საბჭოს წევრი;
ირმა ამირანაშვილი - შპს - ,,ქორალის“ ხარისხის მართვის მენეჯერი, საბჭოს წევრი;
კახაბერ ჩაკვეტაძე - სსიპ - წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ქვიტირის საჯარო სკოლის მასწავლებელი, საბჭოს წევრი;
თეა სვიმონიშვილი - სსიპ - ქალაქ თბილისის №12 საჯარო სკოლის მასწავლებელი, საბჭოს წევრი;
ქეთევან ნატროშვილი - შპს - ,,ქართული სასწავლებელი - თბილისის“ დირექტორის მოადგილე, საბჭოს წევრი.

2. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

ნია გრიგალაშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
დიმიტრი ცანავა - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
ნინო სტეფანიშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი.

3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

ა(ა)იპ - ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება - საქართველოს საპატრიარქოს რუის - ურბნისის ეპარქიის ქარელის წმინდა გიორგი მთაწმინდელის სახელობის გიმნაზია:
გიორგი კორინთელი - სკოლის დირექტორი

სსიპ - ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ ორგორის საჯარო სკოლა:
ნელი ნათენაძე - სკოლის დირექტორი

შპს ფრანგული სკოლა:
ლუიზა თუთარაშვილი - სკოლის დირექტორი

შპს ევროპული სკოლა:
სოფიო ბაზაძე - სკოლის დირექტორი

სსიპ - ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის ლესიჭინეს თემის N1 საჯარო სკოლა:
გივი ლაშხია - სკოლის დირექტორი

სსიპ - ქალაქ ცაგერის საჯარო სკოლა:
დავით ცვარიანი - სკოლის დირექტორი

სსიპ - ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ ბაისუბნის საჯარო სკოლა:
ზაზა მუმლაძე - სკოლის დირექტორი

შპს იაკობ გოგებაშვილის სახელობის სასწავლებელი:
თინათინ ხორბალაძე - სკოლის ადმინისტრაციული დირექტორი;
თამარ ახვლედიანი - სკოლის აკადემიური დირექტორი

სსიპ - აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ბათუმის N11საჯარო სკოლა:
თამილა დუმბაძე - სკოლის დირექტორი

4. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში ექსპერტები):

ა(ა)იპ - ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება - საქართველოს საპატრიარქოს რუის - ურბნისის ეპარქიის ქარელის წმინდა გიორგი მთაწმინდელის სახელობის გიმნაზია:
ა) ქეთევან ბოტკოველი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) რუსუდან უსტიაშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);

გ) ნინო ჭაუჭიძე (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) ნონა ხომასურიძე (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) ხათუნა წიკლაური (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) მარინე რეხვიაშვილი (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) თეა ღვინიანიძე (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თ) ნინო წიკლაური (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) ნათია ორმოცაძე (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) ქეთევან ბორაშვილი (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ლ) ეკატერინე მაკარიძე (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

სსიპ - ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ ორგორის საჯარო სკოლა:
ა) ირინა დვალი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) დავით ჭეიშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი).

შპს ფრანგული სკოლა:
ა) გიორგი ნებიერიძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) მაკა მამფორია (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი).

შპს ევროპული სკოლა:
ა) ლელა ფიცხელაური (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) ირმა ხმელიძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი).

სსიპ - ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის ლესიჭინეს თემის N1 საჯარო სკოლა:
ა) ლელა ბუბაშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) ელიზბარ ბარბაქაძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
გ) ირინა გოგონაია (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) მამუკა ხაჩიძე (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) ნანა ჩხიკვაძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) ლანა არახამია (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) შაქრო ჟღენტი (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თ) თამარ ზედგენიძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) ვერა სომხიშვილი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

სსიპ - ქალაქ ცაგერის საჯარო სკოლა:
ა) ირმა ხმელიძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) თამარი ბლიაძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
გ) ნინო აბესაძე (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) მერი ბეჟუაშვილი (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) გვანცა მოლაშვილი (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) მარიკა ბოცვაძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) გიორგი ხომასურიძე (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თ) მზია შევარდნაძე (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) გიორგი ბერძულიშვილი (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) ქეთევან ქობალია (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

ლ) ეკატერინე კვირკველია (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

სსიპ - ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ ბაისუბნის საჯარო სკოლა:
ა) ირმა ხმელიძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) ნანა ვარდმანიძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
გ) ლია ბოგვერაძე (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) ეკატერინე ჟვანია (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) ნინო ლაცაბიძე (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) შოთა მაღლაკელიძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) თეა ხუროშვილი (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თ) მზია შევარდნაძე (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) მზია დადვანი (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) ქეთევანი ბორაშვილი (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ლ) ლელა მანგოშვილი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

შპს იაკობ გოგებაშვილის სახელობის სასწავლებელი:
ა) ნანა მონიავა (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) მედეა მაქაცარია (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
გ) ნინო ფსუტური (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) ხათუნა ჯიმშიაშვილი (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) ნათია კილაძე (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) ლია ციცქიშვილი (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) ნინო მარღიშვილი (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თ) თეონა შერაზადიშვილი (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) მაკა ყიფშიძე (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) მიხეილ გაფრინდაშვილი (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ლ) ნათია კურტანიძე (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

სსიპ - აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ბათუმის N11 საჯარო სკოლა:
ა) ელენე კალანდაძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) ნატო კლდიაშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
გ) თეა ნინუა (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) მამუკა ხაჩიძე (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) ნინო ზირაქაძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) ხათუნა მარკოზაშვილი (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) ნანა შალამბერიძე (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თ) გიორგი ბერძულიშვილი (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) საბა დარსაველიძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) მაკა ინაშვილი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ (შემდგომში - დებულება) მე-17 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას წარუძღვა საბჭოს

თავმჯდომარე, ეკატერინე წიფურია. საბჭოს სხდომა 2026 წლის 10 ივლისს ჩატარდა ონლაინ რეჟიმში (Zoom-ის ონლაინ პლატფორმის საშუალებით). სხდომა დაიწყო 14:30 საათზე. საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ დებულების მე-17 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან ესწრება საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.
ცენტრის წარმომადგენელმა, საბჭოს წინაშე, დააყენა შუამდგომლობა სხდომის მიმდინარეობის აუდიო ჩაწერასთან დაკავშირებით სხდომის ოქმის მომზადების მიზნით. მან აქვე განმარტა, რომ აუდიოჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე. საბჭოს სხდომაზე, დამსწრე პირებმა, გაიზიარეს აღნიშნული შუამდგომლობა.
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების მე-20 მუხლის მე-7 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

1. ა(ა)იპ - ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება - საქართველოს საპატრიარქოს რუის - ურბნისის ეპარქიის ქარელის წმინდა გიორგი მთაწმინდელის სახელობის გიმნაზიის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ ორგორის საჯარო სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
3. შპს ფრანგულ სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
4. შპს ევროპულ სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
5. სსიპ - ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის ლესიჭინეს თემის N1 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
6. სსიპ - ქალაქ ცაგერის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
7. სსიპ - ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ ბაისუბნის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
8. ა(ა)იპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის სასწავლებლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
9. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ბათუმის N11 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა.
ცენტრის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ცენტრს ჰქონდა შუამდგომლობა, შპს ხერხემის კერძო სკოლასთან დაკავშირებით გარკვეული საკითხის დაზუსტების მიზნით, დღის წესრიგს დამატებოდა 2026 წლის 09 ივნისის N689270 ოქმის მე-2 ნაწილში ცვლილების საკითხი.
გარდა ზემოაღნიშნულისა, ცენტრის წარმომადგენელმა განმარტა, რომ დღის წესრიგით მე-8 საკითხად განიხილებოდა ა(ა)იპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის სასწავლებლის ავტორიზაციის საკითხი, მისი განმარტებით დღის წესრიგში ფიქსირდებოდა ტექნიკური ხარვეზი და ნაცვლად ა(ა)იპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის სასწავლებლის ავტორიზაციის საკითხისა უნდა ყოფილიყო შპს იაკობ გოგებაშვილის სახელობის სასწავლებლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა.
საბჭოს წევრებმა გაიზიარეს აღნიშნული შუამდგომლობა და შესაბამისად დღის წესრიგი დამტკიცდა შემდეგი სახით:

1. 2026 წლის 09 ივნისის N689270 ოქმის მე-2 ნაწილში ცვლილების საკითხის განხილვა;

2. ა(ა)იპ - ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება - საქართველოს საპატრიარქოს რუის - ურბნისის ეპარქიის ქარელის წმინდა გიორგი მთაწმინდელის სახელობის გიმნაზიის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ - ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ ორგორის საჯარო სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
4. შპს ფრანგულ სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
5. შპს ევროპულ სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
6. სსიპ - ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის ლესიჭინეს თემის N1 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
7. სსიპ - ქალაქ ცაგერის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
8. სსიპ - ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ ბაისუბნის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
9. შპს იაკობ გოგებაშვილის სახელობის სასწავლებლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
10. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ბათუმის N11 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

1. 2026 წლის 09 ივნისის N689270 ოქმის მე-2 ნაწილში ცვლილების საკითხის განხილვა

ცენტრის წარმომადგენელმა განმარტა, რომ 2026 წლის 26 და 27 მარტს განხორციელდა გეგმიური მონიტორინგის ვიზიტი შპს ხერხემის კერძო სკოლაში, სადაც შემოწმდა ავტორიზაცი ის დებულების მე-5 მუხლის მეორე პუნქტით განსაზღვრული „ა“, „გ", და „დ" ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობა. 2026 წლის 25 მაისს გამართულ საბჭოს სხდომაზე , საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით და მონიტორინგის განხორციელების ფარგლებად მიუთითა 1-ელი, მე-2 (ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები), მე-3 და მე-4 სტანდარტები.საბჭოს თავჯდომარემ ეკატერინე წიფურიამ აღნიშნა, რომ საბჭომ მიზანშეწონილად მიიჩნია მონიტორინგის დროს შემოწმებულიყო ოთხივე სტანდარტი. ცენტრის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ საბჭოს მონიტორინგის საფუძველი იყო ინსტიტუციურ სტანდარტებში არსებული ხარვეზები, აგრეთვე მნიშვნელოვანი იყო ის ფაქტიც, რომ 2025 და 2026 მეორე სტანდარტთან მიმართებაში მონიტორინგი არ განხორციელებულა არც ერთ სკოლაში, რადგან საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს სკოლამდელი და ზოგადი განათლების განვითარების დეპარტამენტი მუშაობდა საგნობრივი სტანდარტების ცვლილებებზე. შესაბამისად ცენტრის წარმომადგენელმა, საბჭოს მიმართა შუამდგომლობით დაეზუსტებინათ შემოწმების ფარგლები და ზემოაღნიშნულ სკოლაში 2026 წლის აგვისტოდან მონიტორინგი განხორციელებულიყო პირველ, მესამე და მეოთხე სტანდარტზე.
საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2026 წლის 09 ივნისის N689270 ოქმის მე-2 ნაწილში ცვლილების განხორციელების შესახებ საკითხი.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება:

დაწყების დრო: 14:35 საათი
დასრულების დრო: 14:37 საათი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, შევიდეს ცვლილება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2026 წლის 09 ივნისის N689270 ოქმის მე-2 ნაწილში და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:
„**2. შპს - ხერხემის კერძო სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის**
შედეგების განხილვა
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ნინო შიუკაშვილმა. ექსპერტმა განაცხადა, რომ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების მიზნით, გეგმიური მონიტორინგი განხორციელდა ადგილზე ვიზიტით.
სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 21 მარტის №322188 გადაწყვეტილების თანახმად, დაწესებულებას მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვრა 175 მოსწავლით, ხოლო აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა იყო 107.
ექსპერტმა, ნინო შიუკაშვილმა, განმარტა, რომ ექსპერტთა ჯგუფს, ცენტრის დირექტორის ბრძანების საფუძველზე, დაევალა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის პირველი, მესამე და მეოთხე სტანდარტების შეფასება.
ექსპერტმა ისაუბრა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ პირველი სტანდარტი და მესამე სტანდარტის 3.1, 3.2, 3.3 და 3.4 კომპონენტები შეფასდა, როგორც „არ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, ხოლო მეოთხე სტანდარტი შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“.
საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, დამაზუსტებელი კითხვით მიმართა ნინო შიუკაშვილს სასკოლო ბიბლიოთეკის განახლებასა და სკოლაში პანდუსის არსებობასთან დაკავშირებით. ნინო შიუკაშვილმა, აღნიშნა, რომ ადგილზე ვიზიტის დროს სკოლამ ბიბლიოთეკასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია სრულად ვერ წარმოადგინა, თუმცა შემდგომში წარდგენილი დოკუმენტებით ტექნიკური ხარვეზი სრულად აღმოიფხვრა და აღნიშნული საკითხი სტანდარტის მოთხოვნებს სრულად შეესაბამებოდა. რაც შეეხება პანდუსს, სკოლას მიეცა რეკომენდაცია, ბრძანებით განესაზღვრა პასუხისმგებელი პირი, რომელიც უზრუნველყოფდა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის დახმარებას დაწესებულების ტერიტორიაზე გადაადგილებისას. აღნიშნული რეკომენდაცია სკოლამ გაიზიარა.
საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე თამარ მამსიკაშვილმა, კითხვით მიმართა სკოლას. კერძოდ, მისი კითხვა შეეხებოდა სკოლაში მასწავლებელთა შერჩევის პროცესსა და წინა ვიზიტის

ფარგლებში ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების საკითხს. სკოლის დირექტორმა, ბელა კაპანაძემ, აღნიშნა, რომ სკოლას უკვე ჰყავდა ორი ახალი მასწავლებელი და დამატებით გამოცხადებული ჰქონდა ვაკანსია სხვა მასწავლებლების დასაქმების მიზნით.
რაც შეეხებოდა წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულებას, მისი თქმით, აღნიშნული მიმართულებით სკოლას უკვე გადადგმული ჰქონდა ქმედითი ნაბიჯები და უახლოეს მომავალში შეეცდებოდა ყველა რეკომენდაციის სრულყოფილად შესრულებას.
საბჭოს წევრმა, თამარ მამსიკაშვილმა, კითხვით მიმართა სკოლის წარმომადგენელს სკოლაში არსებული თოთხმეტი უსტატუსო მასწავლებლის შესახებ. კერძოდ, იგი დაინტერესდა, რა მიზეზით ვერ მოხერხდა აღნიშნული პოზიციების შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე მასწავლებლებით სკოლის დაკომპლექტება. სკოლის წარმომადგენელმა, ბელა კაპანაძემ, აღნიშნა, რომ რეგიონში კვალიფიციური კადრების დეფიციტის გამო ვერ მოხერხდა შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე მასწავლებლების მოძიება. მისი თქმით, სკოლა წლის ბოლომდე გამოაცხადებს ვაკანსიებს კვალიფიციური კადრების მოზიდვისა და დასაქმების მიზნით.
საბჭოს წევრმა, მანანა თურქაძემ, კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს ფინანსური უზრუნველყოფის საკითხთან დაკავშირებით. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ სკოლა ელოდებოდა საიჯარო შემოსავლის მიღებას, რაც მნიშვნელოვნად დაეხმარებოდა დაწესებულებას ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესებაში.
საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი, სსიპ - შპს ხერხემის კერძო სკოლის მონიტორინგთან დაკავშირებით, ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ.
ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო: 14:50
დასრულების დრო: 15:40

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე- 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 27-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება სსიპ - შპს ხერხემის კერძო სკოლის (ს/კ: 224089420) მონიტორინგთან დაკავშირებით.

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით:
მონიტორინგის დაწყების პერიოდი: 2026 წლის აგვისტოდან;
მონიტორინგის განხორციელების ფორმა: ადგილზე ვიზიტი;
მონიტორინგის ფარგლები**:** 1-ელი, მე-3 და მე-4 სტანდარტები“

2. ა(ა)იპ - ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება - საქართველოს საპატრიარქოს რუის - ურბნისის ეპარქიის ქარელის წმინდა გიორგი მთაწმინდელის სახელობის გიმნაზიის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა, ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ქეთევან ბოტკოველმა. ექსპერტმა განაცხადა, რომ ა(ა)იპ - ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება - საქართველოს საპატრიარქოს რუის - ურბნისის ეპარქიის ქარელის წმინდა გიორგი მთაწმინდელის სახელობის გიმნაზიაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2026 წლის 20 და 21 მაისს. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 300. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 300 მოსწავლისთვის.

ექსპერტმა, ქეთევან ბოტკოველმა, ისაუბრა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ 1-ელი (სკოლის ფილოსოფია), მე-2 (სასკოლო კურიკულუმი) (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) და მე-4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა) სტანდარტები შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, ხოლო მე-3 (სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) სტანდარტი შეფასდა „ნაწილობრივად“.

ექსპერტის განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ, დაწესებულების მიმართ გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც აღწერილი იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.

ექსპერტმა ისაუბრა სკოლის საუკეთესო გამოცდილების შესახებ და აღნიშნა, რომ დაწესებულება ახორციელებდა სხვადასხვა პროექტსა და ღონისძიებას, ჰქონდა წარმატებულ მოსწავლეთა წახალისების სისტემა და მრავალი გამარჯვება პროექტებში.

ექსპერტმა წარმოადგინა დაწესებულების შენობის ამსახველი ფოტომასალა და აღნიშნა, რომ შექმნილი იყო კეთილმოწყობილი გარემო.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, თამარ მამსიკაშვილი, დაინტერესდა, იყო თუ არა სკოლაში ადაპტირებული გარემო და ჰყავდა თუ არა სკოლას სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე. ექსპერტმა, ქეთევან ბოტკოველმა, აღნიშნა, რომ სკოლაში შექმნილი იყო ადაპტირებული გარემო, ხოლო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე დაწესებულებას არ ჰყავდა.

საბჭოს წევრი, კახაბერ ჩაკვეტაძე, დაინტერესდა, საშუალო საფეხურზე, მუსიკასა და ხელოვნებაში თუ ხორციელდებოდა პროექტული სწავლება. სკოლის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ხორციელდბოდა პროექტული სწავლება მუსიკასა და ხელოვნებაში. აღნიშნული დაადასტურა ექსპერტმა, ქეთევან ბოტკოველმაც.
საბჭოს მდივანი, ნინო ბერიკაშვილი, დაინტერესდა, უზიარებდა თუ არა სკოლა საუკეთესო გამოცდილებას სხვა დაწესებულებებს. სკოლის წარმომადგენლის განმარტებით, მუდმივად თანამშრომლობდნენ რეგიონში არსებულ სხვა სკოლებთან.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება - საქართველოს საპატრიარქოს რუის - ურბნისის ეპარქიის ქარელის წმინდა გიორგი მთაწმინდელის სახელობის გიმნაზიის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 300-ით განსაზღვრის საკითხი.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო - 15:05
დასრულების დრო - 15:08

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2, მე-2^1 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, ა(ა)იპ - ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება - საქართველოს საპატრიარქოს რუის - ურბნისის ეპარქიის ქარელის წმინდა გიორგი მთაწმინდელის სახელობის გიმნაზიას (ს/კ: 243914617) 9 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 300-ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ქარელის მუნიციპალიტეტი, სოფელი ქარელი, ვარძელაშვილის ქუჩა N87
2		საბაზო	ქართული	ქარელის მუნიციპალიტეტი, სოფელი ქარელი, ვარძელაშვილის ქუჩა N87

	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა			
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ქარელის მუნიციპალიტეტი, სოფელი ქარელი, ვარძელაშვილის ქუჩა N87

საბჭომ დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება:
2026 წლის სექტემბერში საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შეთანხმების, საევაკუაციო გეგმის, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიის აღჭურვის, ხოლო, **2028 წლის ივნისში** შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციის უსაფრთხოებისა და სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნების წარმოდგენა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.

3. სსიპ - ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ ორგორის საჯარო სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ირინა დვალმა. ექსპერტმა განაცხადა, რომ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების მიზნით, გეგმური მონიტორინგი განხორციელდა დისტანციურად, დოკუმენტაციის შესწავლის გზით.
სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 27 დეკემბრის N1772329 გადაწყვეტილების თანახმად, დაწესებულებას მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვრა 40 მოსწავლით, ხოლო აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა იყო 34.
ექსპერტმა, ირინა დვალმა, განმარტა, რომ ექსპერტთა ჯგუფს, ცენტრის დირექტორის ბრძანების საფუძველზე, დაევალა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის 1-ელი (სკოლის ფილოსოფია) და მე-4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა) სტანდარტების შემოწმება. მისი განმარტებით, აღნიშნული სტანდარტები შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“.
ექსპერტის თქმით, დაწესებულების მიმართ გაიცა რჩევები და რეკომენდაციები, რომლებიც დეტალურად აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ ორგორის საჯარო სკოლის მონიტორინგთან დაკავშირებით, ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ.
ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო: 15:20
დასრულების დრო: 15:23

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე- 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 27-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება სსიპ - ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ ორგორის საჯარო სკოლის (ს/კ: 223104432) მონიტორინგთან დაკავშირებით.

საბჭომ დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება:
2026 წლის სექტემბერში სკოლაში შექმნილმა ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის ჯგუფმა, უნდა შეისწავლოს და დაადგინოს სსსმ მოსწავლის საჭიროებები. ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნის შედეგად შეიქმნას დოკუმენტი, რომლის საფუძველზეც გამოჩნდება, როგორ ხორციელდება სკოლაში ინდივიდუალური სასწავლო გეგმების მონიტორინგი.
ხოლო **2027 წლის სექტემბერში** მასწავლებელთა და სკოლის სხვა პერსონალის კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით დაწყებული კვლევის დასრულებისა და შედეგების სამოქმედო გეგმაში გათვალისწინების დამადასტურებელი მტკიცებულებების წარმოდგენა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.

4. შპს ფრანგულ სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს

თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, გიორგი ნებიერიძემ. ექსპერტმა განაცხადა, რომ დაწესებულებაში ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების მიზნით, არაგეგმიური მონიტორინგის ვიზიტი განხორციელდა 2026 წლის 27 მაისს, ცენტრის დირექტორის ბრძანების საფუძველზე. მისი თქმით, ბრძანების საფუძველს წარმოადგენდა ის გარემოება, რომ დაწესებულებას ცენტრში არ წარუდგენია სავალდებულო ყოველწლიური თვითშეფასება.
ექსპერტთა ჯგუფს დაევალა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის მე-3 სტანდარტის (სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) შემოწმება. მისი თქმით, სტანდარტი შეფასდა „ნაწილობრივად“.
ექსპერტის თქმით, დაწესებულების მიმართ გაიცა რჩევები და რეკომენდაციები, რომლებიც დეტალურად აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.
ექსპერტის თქმით, ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა ავტორიზაციის ვიზიტის პროცესის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობა. აღნიშნული რეკომენდაციები გაცემული იყო 2023 წლის 1 იანვრამდე მოქმედი ავტორიზაციის სტანდარტების შესაბამისად, თუმცა მათი მნიშვნელოვანი ნაწილი კვლავ რელევანტური იყო სკოლის ინსტიტუციური განვითარების შეფასებისათვის. ექსპერტის თქმით, დოკუმენტაციის ანალიზისა და მონიტორინგის ვიზიტის ფარგლებში მოპოვებული მტკიცებულებების საფუძველზე დადგინდა, რომ სკოლამ მეტწილად გაითვალისწინა წინა ავტორიზაციის პროცესში გაცემული რეკომენდაციები.
საბჭოს თავმჯდომარე, ეკატერინე წიფურია, დაინტერესდა, ჰყავდა თუ არა სკოლას სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე. ექსპერტის, გიორგი ნებიერიძის თქმით, სკოლას არ ჰყავდა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე. სკოლის დირექტორმა დასძინა, რომ იმ შემთხვევაში, თუ სკოლას ეყოლებოდა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე, დაწესებულება მოაწყობდა ყველა საჭირო სივრცეს და ექნებოდა ყველა რესურსი. მისი თქმით, სკოლის შენობა იძლეოდა დამატებითი სივრცეების მოწყობის საშუალებას.
საბჭოს წევრი, ქეთევან ნატროშვილი, დაინტერესდა, რა ვითარება იყო კვალიფიციური მასწავლებლების დასაქმების მიმართულებით. სკოლის დირექტორმა აღნიშნა, რომ სკოლას გამოცხადებული ჰქონდა ვაკანსიები.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება:

დაწყების დრო: 15:50
დასრულების დრო: 15:55

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ფრანგული სკოლის მონიტორინგთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე- 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 27-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება შპს ფრანგული სკოლის (ს/კ: 245438281) მონიტორინგთან დაკავშირებით.

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით:
მონიტორინგის დაწყების პერიოდი: 2027 წლის სექტემბრიდან;
მონიტორინგის განხორციელების ფორმა: ადგილზე ვიზიტი;
მონიტორინგის ფარგლები: მე-3 სტანდარტი.

5. შპს ევროპულ სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. საბჭოს წევრმა, პეტრე ბაბილუამ, აღნიშნა, რომ იგი ვერ მიიღებდა აღნიშნული საკითხის განხილვაში მონაწილეობას, ვინაიდან იყო შპს ევროპული სკოლის მათემატიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელი. საბჭოს წევრებმა გაიზიარეს აღნიშნული. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ლელა ფიცხელაურმა. ექსპერტმა განაცხადა, რომ დაწესებულებაში ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების მიზნით, არაგეგმიური მონიტორინგის ვიზიტი განხორციელდა 2026 წლის 07 და 08 მაისს, ცენტრის დირექტორის ბრძანების საფუძველზე. მისი თქმით, ბრძანების საფუძველს წარმოადგენდა სოციალურ ქსელში გავრცელებული ინფორმაცია, რომელიც შეეხებოდა მოსწავლის შესაძლო ბულინგს და ფიზიკურ დაზიანებას.
ექსპერტის თქმით, მონიტორინგის ფარგლებში დადგინდა, რომ 2026 წლის 30 აპრილს, მე-6 გაკვეთილის შემდეგ, IB პროგრამის მე-8 და მე-9 კლასების მოსწავლეთა გარკვეულმა რაოდენობამ თვითნებურად დატოვა სასწავლო სივრცე და შეიკრიბა მე-3 სართულის სველ წერტილში. ექსპერტის თქმით, მოსწავლეთა განმარტებით, რომელიც ასევე ასახული იყო ფსიქოლოგის ჩანაწერებსა და დისციპლინური კომიტეტის ოქმებში, მათ გადაწყვიტეს სოციალურ ქსელში გავრცელებული ე.წ. „ვირუსული თამაშის“ გამეორება. ექსპერტმა აღნიშნა, რომ მონიტორინგის ფარგლებში ვიზუალურად დათვალიერდა სამედიცინო შემთხვევების აღრიცხვის ჟურნალი, გასაუბრება მოხდა სამედიცინო პერსონალთან, საიდანაც ექსპერტებისთვის ნათელი გახდა, რომ მე-8 კლასელ მოსწავლეს აღენიშნებოდა: ლოყისა და ყვრიმალის არეში სიწითლე და შეშუპება; უჩიოდა თავის ტკივილს; იყო აცრემლებული. ჟურნალში მითითებული იყო, რომ მოსწავლეს გაეწია პირველადი დახმარება, ექიმის

განმარტებით, მოსწავლე თავდაპირველად აცხადებდა, რომ საპირფარეშოში, სველ იატაკზე ფეხი აუსრიალდა, თუმცა დაზიანების ლოკალიზაციისა და გარემოებების გათვალისწინებით ექიმმა მიიჩნია, რომ აღნიშნული ვერსია არ იყო სრულად სარწმუნო. ექსპერტის, ლელა ფიცხელაურის, თქმით, სკოლამ რეაგირება განახორციელა ინციდენტის მართვის პროცედურით განსაზღვრული პირველი ეტაპის - „სამედიცინო შემოწმების“ (Incident Management Procedure („Step 1: Medical Check“)) შესაბამისად. აღნიშნული გარემოებები ადასტურებდა, რომ შემთხვევას თან ახლდა ფიზიკური ზემოქმედების ნიშნები და საჭირო გახდა სამედიცინო პერსონალის ჩართულობა. პროცესის მართვის პარალელურად, მე-8 კლასის დამრიგებლის მხრიდან განხორციელდა მყისიერი რეაგირება: იგი დაუყოვნებლივ დაუკავშირდა მოსწავლის მშობელს, მიაწოდა ინფორმაცია მომხდარის შესახებ და მისი თანხმობის საფუძველზე მოსწავლემ დატოვა სკოლის ტერიტორია. დამრიგებელმა იმავე საღამოს კიდევ ერთხელ მოიკითხა მოსწავლის ჯანმრთელობისა და ემოციური მდგომარეობის შესახებ, რის შედეგადაც დადასტურდა, რომ მოსწავლე თავს კარგად გრძნობდა. ექსპერტმა აღნიშნა, რომ ინციდენტიდან ორ დღეში, აღნიშნული შემთხვევის მონაწილე ყველა მოსწავლე ერთად, მეგობრულ გარემოში იმყოფებოდა ამავე ინციდენტში მონაწილე ერთ-ერთი მოსწავლის დაბადების დღეზე.
ექსპერტმა, ლელა ფიცხელაურმა, აღნიშნა, რომ ინტერვიუების დროს გამოვლინდა, რომ სკოლაში მოქმედებდა დაცვის მაღალი სტანდარტები, ასევე, დისციპლინური წარმოების მარეგულირებელი შიდა სამართლებრივი ჩარჩო პასუხობდა ავტორიზაციის სტანდარტების მოთხოვნებს. ექსპერტის თქმით, სკოლა აღჭურვილი იყო ვიდეოსამეთვალყურეო სისტემით, მიმდინარეობდა ვიზიტორთა რეგისტრაცია, თითოეულ სართულზე იყო დაცვის თანამშრომელი და ფუნქციონირებდა უსაფრთხოების ტექნიკური რესურსი.
ექსპერტმა, ლელა ფიცხელაურმა, აღნიშნა, რომ ვიზიტის დროს სკოლაში გამოვლინდა რამდენიმე ხარვეზი, მათ შორის შესვენებების პერიოდში პრევენციული ზედამხედველობის მექანიზმები საჭიროებდა დამატებით გაძლიერებას; ასევე, მასშტაბური სასკოლო ღონისძიებებისა და საგამოცდო სესიების დროს საჭირო იყო შიდა მორიგეობისა და მონიტორინგის გეგმების დამატებითი მოდიფიცირება და უმჯობესი იქნებოდა, არსებული პრევენციული პროგრამების კიდევ უფრო ეფექტურად მუშაობისთვის, დამრიგებლებისა და უსაფრთხოების ოფიცრების მიზნობრივი სამუშაო შეხვედრების ორგანიზება. ექსპერტის თქმით, სკოლამ არგუმენტირებული პოზიციის დაფიქსირების დროს წარმოადგინა მტკიცებულებები, რომლებითაც დადასტურდა ზემოაღნიშნული მიგნებების აღმოფხვრა. ექსპერტმა აღნიშნა, რომ სკოლამ გაითვალისწინა არა მხოლოდ ხარვეზები, არამედ ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან გაცემული რჩევებიც, რომელთა დეტალური აღწერა იყო ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში. აქვე, დასძინა, რომ სკოლაში დაფიქსირებული ფაქტობრივი გარემოებები დეტალურად იყო აღწერილი დასკვნაში.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ევროპული სკოლის მონიტორინგთან დაკავშირებით, ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ საკითხი.
ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო: 16:17
დასრულების დრო: 16:23

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე- 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 27-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება შპს ევროპული სკოლის (ს/კ: 205172917) მონიტორინგთან დაკავშირებით.

6.სსიპ -ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის ლესიჭინეს თემის N1 საჯარო სკოლის ავტორიზაციის ს აკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა, ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ლელა ბუბაშვილმა. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის ლესიჭინეს თემის N1 საჯარო სკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2026 წლის 28 და 29 აპრილს. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 250. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 250 მოსწავლისთვის. ექსპერტმა აღნიშნა, რომ დაწესებულება ზოგადსაგანმანათლებლო საქმიანობას ახორციელებდა ორ მისამართზე, ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტი, სოფელი ლესიჭინე, მშვიდობის ქუჩა N1 -ში და ლესიჭინე-ოჩხომურში. მისი თქმით ოჩხომური გახლდათ სოფელ ლესიჭინეს ერთ-ერთი უბანი.
ექსპერტმა, ლელა ბუბაშვილმა, ისაუბრა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ 1-ელი (სკოლის ფილოსოფია), მე-2 (სასკოლო კურიკულუმი) (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა) და მე-4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა) სტანდარტები შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, ხოლო მე-3 (სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) სტანდარტი შეფასდა „ნაწილობრივად“.
ექსპერტის განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ, დაწესებულების მიმართ გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც აღწერილი იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.

ექსპერტმა წარმოადგინა დაწესებულების შენობის ამსახველი ფოტომასალა და აღნიშნა, რომ ძირითად შენობაში შექმნილი იყო კეთილმოწყობილი გარემო, ხოლო ოჩხომურში მდებარე შენობას ესაჭიროებოდა სარემონტო და სარეაბილიტაციო სამუშაოები.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, თამარ მამსიკაშვილი, დაინტერესდა, რა ნაბიჯების გადადგმას გეგმავდა სკოლა ღობისა და ვიდეოსამეთვალყურეო სისტემის მონტაჟის მიმართულებით. სკოლის დირექტორმა, გივი ლაშხიამ, აღნიშნა, რომ სკოლას არ ჰქონდა ფინანსური რესურსი, რომ საკუთარი ძალებით აღმოეფხვრა პრობლემა. მისი თქმით, მიმართეს ადგილობრივ მუნიციპალიტეტს და ელოდებოდნენ შემდგომ რეაგირებასა და მხარდაჭერას.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის ლესიჭინეს თემის N1 საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 250-ით განსაზღვრის საკითხი.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო -16:45
დასრულების დრო - 16:49

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2, მე-2[1] და მე-3 პუნქტების შესაბამისად, სსიპ - ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის ლესიჭინეს თემის N1 საჯარო სკოლას (ს/კ: 242263420) 9 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 250-ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტი, სოფელი ლესიჭინე, მშვიდობის ქუჩა N1 ;

				ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტი, სოფელი ლესიჭინე ოჩხომურის უბანი.
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტი, სოფელი ლესიჭინე ოჩხომურის უბანი.
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტი, სოფელი ლესიჭინე ოჩხომურის უბანი.

საბჭომ დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება:
2026 წლის სექტემბერში დღის დარაჯის შტატის განსაზღვრის, ოჩხომურის შენობაში სამედიცინო კაბინეტის, ბიბლიოთეკისა და კომპიუტერული ლაბორატორიის მოწყობის, ექიმის/ექთნის დასაქმების, **2027 წლის თებერვალში** ოჩხომურის შენობაში საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიის მოწყობის, ორივე შენობის საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის, შენობა-ნაგებობების ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნების, **2027 წლის ივნისში** ორივე შენობისთვის შიდა და გარე პერიმეტრზე ვიდეოსამეთვალყურეო კამერების მონტაჟის, **2027 წლის ოქტომბერში** ოჩხომურის შენობაში ლიფტის/პანდუსის, მოწყობის, ძირითად შენობაში ადაპტირებული სველი წერტილის მოწყობის, ხოლო **2028 წლის ივლისში** ო რივე შენობის შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნების წარმოდგენა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.

7. სსიპ - ქალაქ ცაგერის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა, ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ირმა ხმელიძემ. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - ქალაქ ცაგერის საჯარო სკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2026 წლის 28 და 29 აპრილს. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 180. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ ვიზიტის მერე დაწესებულებამ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარმოადგინა კორესპონდენცია, რომელშიც სკოლა აღწერდა, რომ თვითშეფასების ფორმაში დაფიქსირდა ხარვეზი და სკოლას მოსწავლეთა ადგილების ზღვრულ

რაოდენობად სურდა 240 მოსწავლის განსაზღვრა. ექსპერტის თქმით, აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 240 მოსწავლისთვის.
ექსპერტმა, ირმა ხმელიძემ, ისაუბრა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ 1-ელი (სკოლის ფილოსოფია) და მე-4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა) სტანდარტები შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, ხოლო მე-2 (სასკოლო კურიკულუმი) (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა) და მე-3 (სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) სტანდარტები შეფასდა „მეტწილად“.
ექსპერტის განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ, დაწესებულების მიმართ გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც აღწერილი იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.
ექსპერტმა წარმოადგინა დაწესებულების შენობის ამსახველი ფოტომასალა და აღნიშნა, რომ დაწესებულების შენობა იყო ახლადრეაბილიტირებული და შექმნილი იყო კეთილმოწყობილი და მოვლილი გარემო.
ექსპერტმა ისაუბრა სკოლის საუკეთესო გამოცდილების შესახებ და აღნიშნა, რომ სკოლის მოსწავლეებს ჰქონდათ მაღალი აკადემიური მოსწრება, სკოლა აქტიურად იყო ჩართული სხვადასხვა ტიპის პროექტსა და ღონისძიებაში, ჰქონდა მრავალი წარმატება ინტელექტუალურ ღონისძიებებში.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ქალაქ ცაგერის საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 240-ით განსაზღვრის საკითხი.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო - 17:06
დასრულების დრო - 17:09

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2, მე-2^1 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, სსიპ - ქალაქ ცაგერის საჯარო სკოლას (ს/კ: 242573693) 9 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 240-ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის,

			პროგრამის განხორციელების ენა	ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ქალაქი ცაგერი, თამარ მეფის ქუჩა N12
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ქალაქი ცაგერი, თამარ მეფის ქუჩა N12
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ქალაქი ცაგერი, თამარ მეფის ქუჩა N12

საბჭომ დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება:
2026 წლის სექტემბერში ვაკანტურ თანამდებობებზე კონკურსის გამოცხადების, ვიდეოსამეთვალყურეო სისტემის სრულყოფილად მონტაჟის, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიის მოწყობის, ვებ-გვერდზე ინდიკატორით განსაზღვრული ყველა სავალდებულო ინფორმაციის განთავსების, მე-2 სტანდარტთან მიმართებით მიღებული ყველა რეკომენდაციის გათვალისწინებისა და **2028 წლის ივლისში** შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნის წარმოდგენა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.

8. სსიპ - ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ ბაისუბნის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა, ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ირმა ხმელიძემ. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ ბაისუბნის საჯარო სკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2026 წლის 18 და 19 მაისს. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული

რაოდენობა იყო 300. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 300 მოსწავლისთვის.
ექსპერტმა, ირმა ხმელიძემ, ისაუბრა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ 1-ელი (სკოლის ფილოსოფია), მე-2 (სასკოლო კურიკულუმი) (დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა) და მე-4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა) სტანდარტები შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, მე-2 (სასკოლო კურიკულუმი) (საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) შეფასდა „მეტწილად“, ხოლო მე-3 (სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) სტანდარტი შეფასდა „ნაწილობრივად“.
ექსპერტის განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ, დაწესებულების მიმართ გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც აღწერილი იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.
ექსპერტმა წარმოადგინა დაწესებულების შენობის ამსახველი ფოტომასალა და აღნიშნა, რომ 2026 წლის თებერვლის თვეში სკოლაში გაჩნდა ხანძარი, რამაც გამოიწვია რამდენიმე სასწავლო ოთახისა და რესურსების დაზიანება, მისი თქმით, სკოლას ესაჭიროებოდა სარეაბილიტაციო სამუშაოები.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, თამარ მამსიკაშვილმა, მიმართა სკოლის დირექტორს, დაეზუსტებინა, ხანძრის შემდგომ რა ნაბიჯები გადაიდგა სკოლის მხრიდან. სკოლის დირექტორის, ზაზა მუმლაძის თქმით, სკოლას შედგენილი ჰქონდა პროექტი, რომელიც მიაწოდა მუნიციპალიტეტის მერიას, გამოცხადებული იყო ტენდერი და უახლოეს პერიოდში აღმოიფხვრებოდა შენობასთან დაკავშირებული პრობლემები.
საბჭოს წევრი, დავით კახნიაშვილი, დაინტერესდა, რამ გამოიწვია ხანძარი სკოლაში. სკოლის დირექტორის თქმით, ხანძარი გამოწვეული იყო ელექტროგაყვანილობის გაუმართაობით.
საბჭოს თავმჯდომარე, ეკატერინე წიფურია, დაინტერესდა, მიმდინარე პერიოდში რამდენად ჰქონდა სკოლას გამართული ელექტროგაყვანილობა და რამდენად განახორციელა სკოლამ პრევენციული ღონისძიებები. სკოლის დირექტორის განმარტებით, ხანძრის შემდგომ სკოლამ მიიწვია ექსპერტები, რომლებმაც შეამოწმეს ელექტროგაყვანილობის სისტემა და მათი დასკვნის საფუძველზე, სისტემა იყო უსაფრთხო, მათ შორის შემოწმება განახორციელა საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრმა.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ ბაისუბნის საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 300-ით განსაზღვრის საკითხი.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო - 17:31
დასრულების დრო - 17:35

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2, მე-2[1] და მე-3 პუნქტების, 27-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ ბაისუბნის საჯარო სკოლას (ს/კ: 233137361) 9 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 300-ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი, სოფელი ბაისუბანი
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი, სოფელი ბაისუბანი
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი, სოფელი ბაისუბანი

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით:
მონიტორინგის დაწყების პერიოდი: 2027 წლის სექტემბრიდან;
მონიტორინგის განხორციელების ფორმა: ადგილზე ვიზიტი;
მონიტორინგის ფარგლები: მე-3 სტანდარტი.

საბჭომ დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება:
2026 წლის სექტემბერში თანამშრომელთა სავალდებულო ცნობების, **2027 წლის სექტემბერში** საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიის აღჭურვის დამადასტურებელი მტკიცებულებების წარმოდგენა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.

9. შპს იაკობ გოგებაშვილის სახელობის სასწავლებლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და

დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა, ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ნანა მონიავამ. ექსპერტმა განაცხადა, რომ შპს იაკობ გოგებაშვილის სახელობის სასწავლებელში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2026 წლის 14 და 15 მაისს. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 260. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 260 მოსწავლისთვის.
ექსპერტმა, ნანა მონიავამ, ისაუბრა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ 1-ელი (სკოლის ფილოსოფია), მე-2 (სასკოლო კურიკულუმი) (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები), მე-3 (სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) და მე-4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა) სტანდარტები შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“.
ექსპერტის განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ, დაწესებულების მიმართ გაიცა რჩევები, რომლებიც აღწერილი იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.
ექსპერტმა წარმოადგინა დაწესებულების შენობის ამსახველი ფოტომასალა და აღნიშნა, რომ შექმნილი იყო კეთილმოწყობილი და მოწესრიგებული გარემო.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს იაკობ გოგებაშვილის სახელობის სასწავლებლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 260-ით განსაზღვრის საკითხი.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო -17:51
დასრულების დრო - 17:53

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, შპს იაკობ გოგებაშვილის სახელობის სასწავლებელს (ს/კ: 200272034) 9 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს

260-ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ქალაქი თბილისი, კიკეთი, 26 მაისის ქუჩა N 13
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ქალაქი თბილისი, კიკეთი, 26 მაისის ქუჩა N 13
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ქალაქი თბილისი, კიკეთი, 26 მაისის ქუჩა N 13

10. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ბათუმის N11 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა, ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ელენე კალანდაძემ. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ბათუმის N11 საჯარო სკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2026 წლის 06 და 07 მაისს. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 687. აქვე, ექსპერტმა აღნიშნა, რომ მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის 687-ით განსაზღვრას ეთანხმებოდა მხოლოდ ორი ცვლის პირობებში.
ექსპერტმა, ელენე კალანდაძემ, ისაუბრა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ 1-ელი (სკოლის ფილოსოფია), მე-2 (სასკოლო კურიკულუმი) (დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა) და მე-4

(მოსწავლეთა მხარდაჭერა) სტანდარტები შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, მე-2 (სასკოლო კურიკულუმი) (საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) შეფასდა „მეტწილად“, ხოლო მე-3 (სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) სტანდარტი შეფასდა „ნაწილობრივად“.
ექსპერტის განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ, დაწესებულების მიმართ გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც აღწერილი იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.
ექსპერტმა წარმოადგინა დაწესებულების შენობის ამსახველი ფოტომასალა და აღნიშნა, რომ დაწესებულებაში შექმნილი იყო კეთილმოწყობილი გარემო.
საბჭოს თავმჯდომარე, ეკატერინე წიფურია, დაინტერესდა, რა ვითარება იყო ვაკანსიების გამოცხადებასთან დაკავშირებით.სკოლის დირექტორის, თამილა დუმბაძის, განმარტებით, სკოლამ დაასაქმა კვალიფიციური თანამშრომლები.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ბათუმის N11 საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 687-ით განსაზღვრის საკითხი.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო - 18:10
დასრულების დრო - 18:13

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2, მე-2^1 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, სსიპ - აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ბათუმის N11 საჯარო სკოლას (ს/კ: 245437692) 9 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 687-ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ქალაქი ბათუმი, აკაკი წერეთლის ქუჩა N42

2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ქალაქი ბათუმი, აკაკი წერეთლის ქუჩა N42
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ქალაქი ბათუმი, აკაკი წერეთლის ქუჩა N42

საბჭომ დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება:
2026 წლის სექტემბერში მუსიკის, ხელოვნებისა და სპორტის მასწავლებლების დასაქმების, ექიმის კომპეტენციის დამადასტურებელი დოკუმენტის, **2028 წლის ნოემბერში** შენობის კონსტრუქციული მდგომარეობის დამატებითი კვლევის ჩატარებისა და შესაბამისი დასკვნის, შენობის ადაპტირების დამადასტურებელი მტკიცებულებების, ხოლო **2028 წლის ივლისში** შენო ბა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნის წარმოდგენა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.
დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდგომ, 18:15 საათზე საბჭოს სხდომა დასრულებულად გამოცხადდა.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ბერიკაშვილი ნინო

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
წიფურია ეკატერინე

ელექტრონულად შეზამავსებულია